ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) მედია-საუზმე და ტური ქართულ საწარმოებში

დღის წესრიგი

თარიღი: 13 დეკემბერი, 2023

დრო: 10:00 - 18:00 (თბილისის დროით)

ადგილი: სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“ მის. ვარდების მოედანი 1, თბილისი 0108

რეგისტრაციის ბმული

ფორმატი: დასწრებით
ენა: ქართული

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

დღის წესრიგი

მოდერატორი: გიორგი აბულაშვილი

დრო	**საკითხი**
	მედია საუზმის ადგილი (სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია, ვარდების რევოლუციის მოედანი 1, თბილისი 0108)
	შეხვედრის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ყავა/ჩაი, მცირე საუზმეული და გამაგრილებელი სასმელები
10:00 – 10:20	**მისასალმებელი სიტყვა და პროექტის „რესურსეფექტური და სუფთა წარმოება და ეკო-ინოვაციები მცირე და საშუალო საწარმოებში“ მიმოხილვა** *ბ-ნი გიორგი აბულაშვილი, ეროვნული განმახორციელებელი პარტნიორი - პროექტის კოორდინატორი, UNIDO-ს პროექტი "რესურსების ეფექტური და სუფთა წარმოება და ეკო-ინოვაციები მცირე და საშუალო საწარმოებში", საქართველოში EU4Environment პროგრამის კომპონენტი.*
10:20 – 10:50	**ეფექტურობის ამაღლება საწარმოო პროცესებში - რესწ შეფასებებისა და სამოქმედო გეგმების მიმოხილვა სადემონსტრაციო და რესწ კლუბების კომპანიებში** ბ-ნი კონსტანტინე ბარჯაძე, რესწ ექსპერტი დოქტორი ნიკოლოზ ჯავშანაშვილი, რესწ კლუბების ფასილიტატორი
10:50 – 11:20	**კითხვა-პასუხის სესია მედიის წარმომადგენლებისთვის**
11:20 – 11:30	**მედია საუზმის შეხვედრის დასრულება და რესწ კომპანიებში მედიატურის დაწყება**
11:30 – 17:00	ვიზიტები რესწ კომპანიებში: • თელეთის მეფრინველეობის ფაბრიკა • მეგაპლასტი (პლასტმასის ნაკეთობების მწარმოებელი) ან ლიდერპლასტი (პლასტმასის ნაკეთობების მწარმოებელი) • Caucasus Organic Fruits (ჩირის წარმოება) *(ყველა შერჩეული კომპანია მდებარეობს თბილისთან ახლოს)*
17:00 – 18:00	ვახშამი მცხეთაში/ნატახტარში და დაბრუნება თბილისში, ტურის დასასრული

რესწ მედია საუზმე და ტური ქართულ საწარმოებში

ღონისძიების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები
მედია-საუზმე და ტური მცირე და საშუალო საწარმოებში მიზნად ისახავს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) კონცეფციის უკეთ გაცნობას ეროვნული მედიის წარმომადგენლებისთვის, სოციალური მედიაზე გავლენის მქონე პირებისთვის, სამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ბიზნეს ასოციაციებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და სხვა ეროვნული სუბიექტებისთვის. ამ გზით ღონისძიება ფართო საზოგადოებისთვის წარმოაჩენს რესურსეფექტურობისა და მწვანე ზრდის სარგებელს. ღონისძიება დაიწყება არაფორმალურ გარემოში პრეზენტაციებითა და დისკუსიებით საუზმეზე (შვედური მაგიდის ფორმატი), რასაც მოჰყვება რესწ ტური შერჩეულ საწარმოებში და ვახშამი. იგი მოიცავს რამდენიმე სადემონსტრაციო ღონისძიებაში ჩართული ქართული საწარმოების მიერ მიღებულ შედეგებს, დისკუსიას მდგრადი ბიზნეს პრაქტიკისა და საქართველოში მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ, ასევე ვიზიტებს EU4Environment-ის პროგრამის მონაწილე შერჩეულ საწარმოებში.

ეს პრეს-ტური მიზნად ისახავს საზოგადოების და დაინტერესებული მცირე და საშუალო საწარმოების ცნობიერების ამაღლებას რესწ-ის და მდგრადი წარმოების სარგებლობის შესახებ. ეს მოხდება სულ მცირე ოთხ საწარმოში ვიზიტების მეშვეობით, რომლებმაც უკვე გადადგეს ნაბიჯები საწარმოო პროცესების გამწვანებისკენ, რითაც უჩვენებენ მაგალითებს და მოწინავე პრაქტიკას სხვა დაინტერესებულ საწარმოებს. ეს ვიზიტები და კომპანიის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია ბიძგს მისცემს სტატიებისა და მედია კონტენტის შემუშავებას, ამასთან, გააუმჯობესებს ჟურნალისტებისა და სოციალურ მედიაზე გავლენის მქონე პირების საერთო შესაძლებლობებს რესურსეფექტურობასთან, სუფთა წარმოებასთან და წრიულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ თემებზე კომუნიკაციისთვის.

ზოგადად, ღონისძიება ხელს შეუწყობს საქართველოში EU4Environment პროგრამის მიგნებების, მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. უფრო კონკრეტულად, EU4Environment-ის კომპონენტის - „წრიული ეკონომიკა და ზრდის ახალი შესაძლებლობები“ ფარგლებში, UNIDO, რომელსაც მხარს უჭერს ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო, როგორც მისი ეროვნული განმახორციელებელი პარტნიორი, ხაზს უსვამს და ხელს უწყობს ქართულ საწარმოებში მდგრადობას და მწვანე ზრდას რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) სარგებლის ჩვენებით წრიულ ეკონომიკაზე გადასვლაში.

მონაწილეები

სამიზნე აუდიტორია შედგება სულ მცირე 20-25 მონაწილისგან, სხვადასხვა მედია-საშუალების, სოციალური მედიაზე გავლენის მქონე პირთა, სამთავრობო ორგანიზაციების, მცირე და საშუალო ბიზნესის, ბიზნეს-ასოციაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და რესწ მეთოდოლოგიის პრაქტიკული გამოყენებით დაინტერესებული ბიზნესებისგან.

პრაქტიკული ინფორმაცია
ღონისძიება დაიწყება 2023 წლის 13 დეკემბერს 10:00 საათზე საუზმით სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში, მისამართი ვარდების რევოლუციის მოედანი 1, თბილისი 0108. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ დარეგისტრირდეთ შემდეგ ბმულზე: https://forms.gle/mrDtgyGa77f8JTmP9

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქალბატონ ლიანა ღარიბაშვილს პროექტის კოორდინატორის ასისტენტს საქართველოში (ელ-ფოსტა l_gari@eecgeo.org, ტელ: +995 599 548782)

კონტექსტი
EU4Environment-ის ფარგლებში, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია მუშაობს საქართველოში, რათა განახორციელოს წრიული ეკონომიკისა და ზრდის ახალი შესაძლებლობების მე-2 შედეგთან დაკავშირებული აქტივობები:

- რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) მიდგომების დემონსტრირება შერჩეულ მცირე და საშუალო საწარმოებში და მათ ჯგუფებში (რესწ კლუბები), და რესწ ექსპერტების ტრენინგი;
- სამრეწველო ნარჩენების რუკების პილოტირება შერჩეულ ადგილებში;
- პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) მეთოდოლოგიის პილოტირება ევროკავშირის მწვანე პროდუქტების ერთიანი ბაზრის (SMGP) პოპულარიზაციის მიზნით საქართველოში.

რესწ არის პრევენციული გარემოსდაცვითი სტრატეგიების უწყვეტი გამოყენება პროცესებზე, პროდუქტებსა და სერვისებზე, რათა გაზარდოს ეფექტურობა და შეამციროს რისკები ადამიანებისა და გარემოსთვის. საქართველოში რესწ-ის სადემონსტრაციო პროექტი მოიცავდა: რესწ ექსპერტების ტრენინგს, რესწ-ის სადემონსტრაციო კომპანიების სწავლებას და კონკრეტულ რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო საწარმოების ორი რესწ კლუბის ხელშეწყობას. შერჩეულმა კომპანიებმა მიიღეს დახმარება ბიზნეს-გეგმების შემუშავებაში, რათა ინვესტირება მოახდინოს შერჩეულ რესწ ღონისძიებებში საკუთარი სახსრებით.

პროექტის ფარგლებში ტრენინგი გაიარა 11 რესწ ექსპერტმა, 20 მცირე და საშუალო საწარმომ კვების მრეწველობის, ქიმიური და სამშენებლო სექტორებიდან მონაწილეობა მიიღო ტრენინგის პროგრამაში და შეიმუშავა რესწ სამოქმედო გეგმები, ჩატარდა 27 კომპანიის რესწ შეფასება, რომლებშიც განსაზღვრული იყო ღონისძიებები კომპანიების ეფექტურობის ასამაღლებლად ნაკლები რესურსებით და გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად. საერთო ჯამში, რესწ კლუბების და რესწ-ის სადემონსტრაციო 27 კომპანიისთვის, გამოვლინდა 115 რესწ ღონისძიება. ამ ღონისძიებების განხორციელებით ენერგიის პოტენციური წლიური დანაზოგი იქნება 19,628 მგვტ.სთ წელიწადში, ხოლო ემისიების შემცირება ყოველწლიურად 17,236 ტონა CO2-ეკვ. 115 რეკომენდირებული ღონისძიებიდან, ამჟამად განხორციელდა 26 რესწ ღონისძიება, რამაც გამოიწვია ენერგიის დაზოგვა წლიურად 1,393 მგვტ.სთ-ით და წლიური ემისიების შემცირება 278 ტონა CO2-ეკვ. მოცულობით.

EU4Environment-ის შესახებ
ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment პროგრამა მიზნად ისახავს დაეხმაროს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შეინარჩუნონ ბუნებრივი კაპიტალი და გაზარდონ ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა გარემოსთან დაკავშირებული ქმედებების მხარდაჭერით, უფრო მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებით და გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უკეთ მართვის მექანიზმების დაწესებით. მას ახორციელებს ხუთი პარტნიორი ორგანიზაცია: OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკი 2019-2024 წლებში, 20 მილიონი ევროს ბიუჯეტით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: **www.eu4environment.org**
დამატებითი ინფორმაციისათვის საქართველოში რესწ-ის შესახებ, ეწვიეთ: **www.recp.ge**